ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1805222

ნომერი: AR1294857

თარიღი : 20.03.2015

გაცემის თარიღი : 27.03.2015

გაცნობის თარიღი : 27.03.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , ნაკვეთი 07/052 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიანა გამყრელიძე პ/ნ 01008021718
- საქართველო, ქალაქი თბილისი, კორნელი კეკელიძეს ქუჩა, N 25, კორპუსი 6, ბინა 130

ორგანიზაცია:

- შპს "green vision" კოდი: 404953127

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის,

"დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1294857 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.06.007.052) გზის შეჭრის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: არქიტექტურის სამსახურმა AR1289998 (02.03.2015) განცხადებით, ერთხელ უკვე იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აქედან გამომდინარე განმეორებით განგიმარტავთ, რომ: თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.14.06.007.052) წარმოადგენს ხე–ნარგავებით აქტიურად გამწვანებულ სივრცეს, რომელზეც დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონა (ლსზ). გამომდინარე აქედან, აღნიშნულ ტერიტორიაზე, პარკინგის მოწყობის მიზნით, გზის შეჭრა არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად არ მიაჩნია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 20 მარტის AR1294857 განცხადებას არქიტექტურის სამსახური ტოვებს განუხილველად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.